ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6335098

ნომერი: AR1947223

თარიღი : 01.02.2023

გაცემის თარიღი : 20.02.2023

გაცნობის თარიღი : 20.02.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 09 დეკემბრის №6242247 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 01

იანვარს №AR1947223 განცხადებით მომართა თენგიზი ესიავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 09 დეკემბრის №6242247 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 09 დეკემბრის №6242247 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, იოანე პეტრიწის ქუჩის ბოლოს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.06.001.263) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 9 დეკემბრიდან 2025 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2022 წლის 20 დეკემბრის №6256882 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 09 დეკემბრის №6242247 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო და ავტოსადგომის ფართობებთან დაკავშირებით. ასევე, ჩანაცვლდა -3.30 და 0.00 ნიშნულების არქიტექტურული გეგმები და დაემატა „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების” დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41-ე დადგენილების შესაბამისად დამუშავებული +39.30 ნიშნულის გეგმა.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 09 დეკემბრის №6242247 ბრძანებით შეთანხმებულ კონსტრუქციულ ნაწილში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, -3.30 ნიშნულზე „გ-დ“ და „4-2“ ღერძებში შეცდომით არის დატანილი კედლები. ასევე ტექნიკური შეცდომა ფიქსირდება „ე-დ“ და „3-5“ ღერძებში არსებულ კონსტრუქციულ ნაწილში. გარდა ამისა, „7“ ღერძის გარეთ „ზ-ვ“ ღერძებში არასწორად არის დატანილი ზომები. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი კონსტრუქციული ნაწილი შეადარა შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ ვინაიდან, კონსტრუქციული ნაწილი შესაბამისობაში იქნა მოყვანილი არქიტექტურულ ნაწილთან, განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 09 დეკემბრის №6242247 ბრძანებაში და კონსტრუქციული ნაწილის საძირკვლის, სავენტილაციო ბლოკების განლაგების, კონსტრუქციების განლაგების -3.30, -0.30, +3.00, +6.30, +9.60-29.40, +32.70, +36.00, +39.30 ნიშნულების სქემები და გადახურვის ფილა +40.20 და +41.80 ნიშნულებზე ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი კონსტრუქციული ნაწილის საძირკვლის, სავენტილაციო ბლოკების განლაგების, კონსტრუქციების განლაგების -3.30, -0.30, +3.00, +6.30, +9.60-29.40, +32.70, +36.00, +39.30 ნიშნულების სქემებით და გადახურვის ფილით +40.20 და +41.80 ნიშნულებზე.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 09 დეკემბრის №6242247 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 09 დეკემბრის №6242247 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.